ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის ოქმი N9

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 10.06.2020 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ ჭიჭინაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: - კობა ძაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, ბიჭიკო პაიკიძე, გია ხარაბაძე, რობიზონ ფუტკარაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- **სალომე ფახურიძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი- **დავით გაბუნია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის მთავარი სპეციალისტი-ზაზა ოჩხიკიძე.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 12^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებულ ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში'' ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს: დავით გაბუნია

2. „ვანის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მაისის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

   მომხს: გელა ჩიკვაიძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთას N11 ქუჩისათვის ლადო სულაბერიძის სახელის მინიჭების შესახებ."

   მომხს: გიორგი ივანიაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთას N17 ქუჩისათვის გიორგი ნაფეტვარიძის სახელის მინიჭების შესახებ".

   მომხს: გიორგი ივანიაძე

5. „ვანის მუნიციპალიტეტში ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტის მოწონების შესახებ."

   მომხს: ზაზა ოჩხიკიძე

დღის წესრიგის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დღის წესრიგის პროექტს

მომხრე -28

წინააღმდეგი-არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

1. დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიამ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი, მომხსენებელმა საკრებულოს

გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ შესატანი ცვლილება, რომლის მიხედვით დანართის მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი: „12. მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში ასრულებს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი მერიის თანამდებობის პირის ან მოხელის მიერ გამოსაცემი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის ყველა საჭირო ღონისძიებას და წარმოადგენს აღნიშნული კანონის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერებაში მონაწილე პირს.“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე -28

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.“

(დადგენილება: N19)

მოისმინეს:

2. დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ცვლილება, რომელიც შეეხება „ვანის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მაისის N18 დადგენილებას.

მომხსენებელმა განმარტა, რომ პროექტის მიხედვით მთავრობის ადმინისტრაციის შენიშვნებისა და რეკომენდაციის საფუძველზე ცვლილება შევიდა პრეამბულაში, ასევე ტერმინი „ქმედუუნარო“ შეიცვალა ტერმინით „მხარდამჭერის მიმღები“ და საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალს დაემატა „პირადი განცხადება“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე -28

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მაისის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.“

(დადგენილება N 20)

მოისმინეს:

3. დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N11 ქუჩისათვის ლადო სულაბერიძის სახელის მინიჭების შესახებ.“

მომხსენებელმა განმარტა, რომ განკარგულების პროექტს გავლილი აქვს ყველა საჭირო პროცედურა, სამთავრობო კომისიიდან მოსულია დადებითი დასკვა, ცნობილი პიროვნების სახელის უკვდავსაყოფად და ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივის გათვალისწინებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულომ მიზანშეწონილად მიაჩნია ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N11 ქუჩისთვის ლადო სულაბერიძის სახელის მინიჭება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე -28

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთას N11 ქუჩისათვის ლადო სულაბერიძის სახელის მინიჭების შესახებ.“

(განკარგულება: 27 11)

მოისმინეს:

4. დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი, „ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის

ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთას N17 ქუჩისათვის გიორგი ნაფეტვარიძის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტს გავლილი აქვს ყველა საჭირო პროცედურა, სამთავრობო კომისიიდან მოსულია დადებითი დასკვა, ცნობილი პიროვნების სახელის უკვდავსაყოფად და ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივის გათვალისწინებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის ქუჩების სახელდება შემდეგნაირად:

ა. ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N17 ქუჩას მიენიჭოს პოეტ გიორგი ნაფეტვარიძის სახელი,

ბ. ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N18 ქუჩას ეწოდოს გიორგი ნაფეტვარიძის ქუჩის პირველი შესახვევი.

გ. ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთის N19 ქუჩას ეწოდოს გიორგი ნაფეტვარიძის ქუჩის მეორე შესახვევი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე -28

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ შუამთას N17 ქუჩისათვის გიორგი ნაფეტვარიძის სახელის მინიჭების შესახებ“.

(განკარგულება: 27 12)

მოისმინეს:

5. დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტში ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ღაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტის მოწონების შესახებ.“ მომხსენებელმა განმარტა, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისია აცხადებს საგრანტო კონკურსს, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N 628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-

2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) განსახორციელებლად.

კონკურსში წარსადგენად უკვე არსებული პროექტებიდან შერჩეული იქნა ლაბაჯოურის საავტომობილო საუბნო გზის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც თანხვედრაშია კონკურსში წარსადგენ პირობებთან. პროექტის ღირებულება შეადგენს 263236.68 ლარს.

აღნიშნული პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგუების პროექტს:

მომხრე -23

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტების მოწონების შესახებ.“

(განკარგულება 27 13)

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების

საკრებულოს სხდომაზე დასწრების ფურცელი

N	საკრებულოს წევრების სახელი და გვარი	ხელმოწერა	სხდომის ჩატარების თარიღი
1	ალექსანდრე ლილუაშვილი		10 ივნისი 2020 წელი
2	გიორგი ივანიაძე		
3	გელა ჩიკვაიძე		
4	ტარიელ ბარამიძე		
5.	რამაზ არველაძე		
6.	გიგა გოგიბერიძე		
7.	კობა ტოხვაძე		
8.	გელა ვარდოსანიძე		
9.	კობა ძაგნიძე		
10.	ეთერი ჭიჭინაძე		
11.	ვლადიმერ ჭვალაძე		
12.	დავით ხარძეიშვილი		
13.	თამთა დვალიშვილი		—
14.	თამარ შენგელია		
15.	ბიჭიკო პაიკიძე		
16.	ალექსანდრე ოქროპილაშვილი		

17.	ოლეგი მიქელთაძე		10 ივნისი 2020 წელი
18.	გია ხარაბაძე		
19.	ივანე კორძაძე		
20.	მალხაზ ცერცვაძე		
21.	შალვა ლორთქიფანიძე		
22.	რობიზონ ფუტკარაძე		
23.	ამირან ტალახაძე		
24.	პაატა ხურციძე		
25.	ვარლამ გიორგაძე		
26.	თენგიზ დვალიშვილი		
27.	გელა ღვიტიძე		
28.	სანდრო ხურციძე		
29.	შოთა გიორგაძე		
30.	მერაბ ხურციძე		
31.	დავით ადეიშვილი		
32.	დავით კაკაბაძე		
33.	გია ოჩხიკიძე		
34.	აპოლონ რამიშვილი		
35.	თორნიკე ერისთავი		